№ 155
შაბათი, 22 ივლისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 155
შაბათი, 22 ივლისი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

ვაზეთი ღირს:

| თვ. | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 25 ივლისს.**

---

## განცხადება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა-ცამეტი (53) ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 36, (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორე განყოფილებაში 11, (8 და 9 წლის ყმაწვილებისათვის), მესამე განყოფილებაში 1 (9 და 10 წლის ყმაწვილ.) და მეოთხეში 5 (10 და 11 წლის ყმაწვ.). პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთი არ არის თავისუფალი ადგილი.

2) 53 ვაკანსიისაგან 49 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ოთხი (4) პანსიონში ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ამ ოთხს ვაკანსიაში სამი (3) არის საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ და ერთი (1) სრულ ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება სწავლა-აღზრდისათვის; ხოლო მათ, რომელნიც მიღებულნი იქნებიან საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ, უნდა შემოიტანონ წელიწადში ათი თუმანი—ნახევარი შემოსვლისათანავე და ნახევარი იანვარში.

გარედან მოსიარულეს გარდახდება წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანეთი, ექვსი ენკენისთვეში და ექვსი იანვარში.

4) ვისაც ჰსურს, მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები:

ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდგან, რომ იგი ირიცხება ხსენებულის ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც ნახევარს ხარჯზედ ჰსურს შემოსვლა, ან გარედ მოსიარულედ, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, თვინიერ ბანკის მოწმობისა. გარედგან მოსიარულეთათვის აუცილებლად საჭიროა წლოვანობის მოწმობა და ყვავილის აცრისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულ იქმნებიან წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეგზიმენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისთვის.

7)ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემოსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზე დარჩენილი, თორემ მათი შვილები დათხოვნილ იქმნებიან პანსიონიდგან.

8) შესაძლოა მარიამობის თვეში, მოწაფების ხელ მეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარს ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას ან ნახევარს ხარჯზე. ვინც საკუთარს ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი, ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოვიდეს მარიამობისთვის 20 რიცხვამდის. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянскою Школой, на Лабораторной ул., въ д. Гургинбегова.

10) მარიამობისთვის 23, 24 და 25 რიცხვებს მოხდება მისაღები ეგზამენები და ხელ-მეორედ გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებისა. პირველს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა.

დათხოვნილნი იქმნებიან აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში შემოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{95}/_{96}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

5—3).

---

## ახალი ამბავი

—

*** 16 ივლისს ოდესაში გარდაიცვალა თავ. დიმიტრი ელიზბარის ძე დადიანი. განსვენებული ჭლექით იყო ავად და მოსარჩენად საზღვარ-გარეთ მიდიოდა, მაგრამ სიკვდილმა უსწრო გზაზე. თ. დ. დადიანის სიკვდილით სენაკის მაზრა გამოესალმა პატიოსანს მამულიშვილს. განსვენებული რამდენიმე წელიწადი გ. „შრომის“ რედაქტორად იყო, მერე ამოირჩიეს მმართველად მიხეილის საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკისა. უკანასკნელს დროს სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა დეპუტატად იყო. იღებდა აგრეთვე მონაწილეობას გ. „დროებაში“ და ყოველთვის მხარს აძლევდა საზოგადო საქმის აღორძინებას, რითაც მოიპოვა პატივი და სიყვარული თვისს ნაცნობთა შორის. განსვენებულის გვამს 23 ივლისს მოასვენებენ ოდესიდამ და დაასაფლავებენ ს. ნოსირში.

*** ბელაგორსა და მარელისს შუა დიდის წვიმების გამო შეწყდარი მიმოსვლა მატარებლებისა, ზვავის ჩამოწოლის გამო, კვალად დაიწყო გუშინ-წინ.

*** ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში ახალ ამბავთა შორის დაბეჭდილი იყო, რომ ახალციხის ფოსტის მოხელეს უკან დაუბრუნებია ტფილისიდამ გაგზავნილი ამანათი, ზედ წარწერით „Обратно за смертью адресата“; იქიდამვე მოსულმა წერილმა ამანათის გამგზავნელი შეცდომაში შეიყვანა და მოხელეს ტყუილი დასწამა,—ამანათის პატრონი არ მომკვდარაო. მაგრამ, ეხლა როგორც შევიტყვეთ, ფოსტის მოხელე სამართლიანად მოქცეულა, რადგანაც ის, ვისაც უნდა ამანათი მიეღო, მართლა გარდაცვლილა.

*** დროებით ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში პირველის ექიმის თანამდებობის აღმასრულებლად გარდაცვალებულის გოლბეკის მაგიერ ექიმი ა. ა. პავლოვსკი დაუნიშნავთ.

*** მისი ბრწყინვალება დენერალლეიტენანტი მირ-სეიდ-მირ-აბდულახმედ ხან ბუხარის ემირი 5 აგვისტოს ტფილისს ჩამოვა.

*** 16 ივლისს, ერთის სახლიდგან მეორეში გადასვლის დროს, ერევნის სამოქალაქო სასწავლებლის ზედამხედველმა სულხანიშვილმა ბარგი მუშას თურმე აჰკიდა, მისცა ადრესი სახლისა და უთხრა წაეღო დანიშნულს ადგილას. მუშამ, მოაშორა თუ არა თვალი სულხანიშვილმა, დაიჭირა ეტლი, ჩაილაგა ბარგი და ავლაბარში კი ამოაყოფინა თავი. აქ, ავლაბარში, პოკროვსკის ყაზარმების მახლობლად, ერთის მეწვრილმნის დუქნის ქვეშ არის ერთი საკუჭნაო-სარდაფი, სადაც თურმე ამნაირად თუ სხვანაირად ხელში ნაგდებს ნივთებსა და ნადავლს ინახავენ ქურდები. აი სწორედ აქ მოიტანა მუშამ ბარგი და ის ის იყო აპირებდა გადალაგებას, რომ ამ დროს პოლიციელმა შენიშნა. პოლიციელს ეჭვი შეეპარა, რომ ეს ბარგი მუშისა იყო და ამიტომ არ მისცა ნება გადატანისა. მუშაც და ბარგიც პოლიციის VII ნაწილში წარადგინეს. სულხანიშვილმა კარგა დიდხანს უცადა, მაგრამ ბარგი არსად სჩანდა. შემდეგ მოსწყინდა ცდა და გამოაცხადა, რომ ბარგი დავკარგეო, და თანაც ბიჭები თურმე გაგზავნა საძებნელად. ბიჭებმა მალე შეატყობინეს, რომ შენი ნივთები პოლიციის ამა-და-ამ ნაწილში იმყოფებაო და ამ რიგად დაიბრუნა უკან თავისი ნივთები. საჭიროა ამ ადგილას პოლიციამ მუდამ სიფთხილით ადევნოს თვალი.

*** ყაზანის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობა, რომლითაც ითხოვდა, რომ სამასწავლებლო სემინარიებში ყვავილის აცრის სწავლება შემოიღოთ, საერო განათლების სამინისტრომ შეიწყნარა.

*** გაზ. „ტფ. ფურც.“-ს გაუგონია, რომ კახეთში გასაყვან რკინის გზის დამატებითი გამოკვლევა იმის შესახებ, რომ ქიზიყზედ გაიაროს გზამაო, მალე დაიწყებაო.

*** ოცს ივლისს ტფილისზე გაუვლია შვიდს ინგლისელს მოგზაურს. უცხოელნი კავკასიის სამადნეულო წყლების სანახავად წასულან. აქედგან ისინი წავლენ ბაქოში, საცა დაათვალიერებენ ნავთის წარმოებას და ჰნახავენ ასადულლაევის ნავთის წყაროს («ნოვ. ობოზ.»).

*** ერთის კერძო შემთხვევისა გამო, „ოდ. ნ.“-ის სიტყვით, საერო განათლების სამინისტრომ აჰხსნა, რომ ვაჟების გიმნაზიებს მათემატიკის განყოფილებაში მერვე დამატებითს კლასში სწავლის საგნებად გეომეტრია და მათემატიკა უნდა იყოსო.

*** გაზ. „ნივას“ გამომცემელს 20,000 მან.-თ შეუძენია უფლება, რომ «ნივას» დამატებათ ჩაურთოს დ. ვ. გრიგოროვიჩის თხზულებანი.

*** როგორც „პრ. კრ.“-ს გაუგონია, აზოვისა და დონის საკომერციო ბანკს განზრახვა აქვს თურმე, როგორც-კი ტფილისში გაჰხსნის განყოფილებას, რამდენიმე სხვა განყოფილება კიდევ გახსნას კავკასიაში.

*** ბაქოელ გაზეთის სიტყვით იქ ახლო მომავალში პირუტყვთა მფარველი საზოგადოება დაარსდება.

*** „ზაკასპ. ობ.“-ი ამბობს, რომ ტაშკენტსა და სამარყანდის შუა რკინის გზის გაყვანა სულ ცოტა ხანში დაიწყებაო. ამ ჟამად იქ ინჟენერები არიან წასულნი ლიანდაგის გაყვანის უკანასკნელად გამოსაკვლევად.

*** საიმპერატორო თეატრების დეკორატორი აკადემიკოსი ბოჩაროვი გარდაიცვალა.

*** ოდესიდამ იწერებიან, რომ აქაური მუშა ქართველები მეტად სამწუხარო მდგომარეობაში არიანო. მათთვის არც რამ ზნეობის გამაფაქიზებელი, არც რამ გონების განსავითარებელი არა არსებობს-რა. პირი-ქით მისცემიან გარყვნილებას, ლოთობას და სხვა ამგვარს კაცის ყოვლად დამამცირებელს მოქმედებას. უცხოელები, რომელთაც მარტო ოდესის ქართველები უნახავთ, მეტად ცუდის აზრისანი არიან საზოგადოდ ქართველობაზედ. იქაური ქართველობა მთლად გადაქართველების გზას დასდგომია. ირთავენ სხვა ტომის უზნეო ქალებს ცოლად, თვითონ ხომ კარგად არ იციან ქართული და მათი შვილები ხომ უვიცნი არიან სამშობლო ენისა. ზოგს სამშობლოში დაუტოვებია ცოლ-შვილი და იმის მაგიერ, რომ მიჰხედოს თავის საწყალს ოჯახს, მიაწოდოს თავისი ნაოფლარი ერთი ორი გროში, ის აქვე ჰხარჯავს სამიკიტნოებში და აღარ აღსოვს მშიერ-მწყურვალი სამშობლოში დატოვებული ცოლ შვილი. ოდესაში თუ ბევრი არა, ცოტანი მაინც არიან შეგნებული ქართველები როგორც მოსწავლენი ისე სამსახურის პირნი; გვიკვირს რატომ არ მიუქცევიათ თავიანთ საწყალ გონებით ბრმა მოძმეთათვის ყურადღება. ნუ-თუ მოვალეობად არა სთვლიან თავისს მამულის-შვილებს ჩააგონონ კეთილი და უჩვენონ გზა სიმართლისა.

*** დ. ოჩემჩირე, (სოხუმის მაზრა): აქაურ ყრმათა აღსაზრდელად არსებობს ერთი ორ-კლასიანი სასწავლებელი დაარსებული მცხოვრებლების ხარჯით. ამ დღეებში სასწავლებლის საქმეთა ვითარების განსახილველად აქ ჩამოვიდა ქუთაისის საგუბერნიო სახალხო სასწავლებლის დირექტორი ლევიცკი. მცხოვრებლებმა სთხოვეს, სასწავლებელში ქართული წერა-კითხვის სწავლება შემოეღოთ, ლევიცკიმ დიდი უარი განაცხადა, რადგანაც თქვენ—აფხაზნი და მეგრელები ქართულს ენას არა სთვლით სამშობლო ენადაო.

*** ს. რეხა, (გორის მაზრა): წელს თ. ერისთავის ქალებმა აბრეშუმი მოიყვანეს. თუმცა ამინდი ცუდი შეჰხვდათ, მაგრამ ქალების თავგამოდებულმა მეცადინეობამ ჯეროვანი ნაყოფი მოიტანა. უწინ ჩვენში როგორც მაღალი წრის, ისე გლეხების ქალები მისდევდნენ ბევრგვარს ხელობას: აბრეშუმის მოყვანას, ჩითეულობის ქსოვას, ქარგვას და სხვა... დღეს კი იშვიათად შეხვდებით მაღალ წრეებში ქალებს, რომ მისდევდნენ რომელსამე ხელთ-საქმეს, და მეტადრე აბრეშუმის მოყვანას. აი სწორედ ამ მხრივ არის მოსაწონი თავ. ერისთავის ქალების მოქმედება. ვისურვებთ, სხვებსაც წაებაძოთ მათთვის.

---

## კორესპონდენცია.

—

**ქახი:** სტატისტიკურის ცნობებიდგან სჩანს, რომ ზაქათალის ოლქში წლითი წლამდე მამრნი უფრო მეტნი იბადებიან, ვიდრე მდედრნი. ამ მიზეზისა გამო, როცა 1850 წელს ქართველნი ინგილონი,—ძალად გამაჰმადიანებულნი ყიზილბაშთა და ლეკთაგან, დაუბრუნდნენ აშკარად მართლ-მადიდებელ თვისთა მამა პაპათა სარწმუნოებას, დაიწყეს ცოლების თხოვნა ქიზიყში, მაგრამ ჩქარა დარწმუნდნენ, რომ ქიზიყელი ქალები ამ ოლქის ჰავას ვერ იტანენ და უდროოდ ესალმებიან წუთი-სოფელს. ამ გარემოებამ იძულებული ჰყო ქრი-

სტიანი ინგილოები ცოლად აღარ შეერთოთ ქიზიყელი ქალები. იმათ მიჰმართეს ახლა ნუხის მაზრას. დაიწყეს ცოლების შერთვა ნუხის მაზრაში მცხოვრებ სომხისა და მართლმადიდებელ ვართაშნელ უდებისა,— ქალებისა; დიდის ხნის ცდის შემდეგ ინგილონი დარწმუნდნენ, რომ იქაურნი ქალნიც გამოსადეგნი არ არიან ინგილოთათვის: ა) არ იციან აქაური ჩვე-ჩვეულება, ბ) არ იციან ქართული ენა, გ) არ იციან აქაური წესი მუშაობისა და ცხოვრებისა და დ) ვერც იტანენ ჰავას ისე, როგორც ადგილობრივი ქალები. ამ გარემოებათ დააფიქრეს ინგილოები. ცხოვრება და ოჯახი ითხოვდა ცოლის შერთვას, ქალები-კი არ იყვნენ. თუ შეირთავდა ინგილო ქიზიყელისა ან ნუხის მაზრელ ქალს, ის მალე უკვდებოდა და თან იკარგებოდა ის ხარჯიც, რომელიც იმათ მოსდიოდათ ცოლის შერთვაზედ.

აქ საქმე იმაშია, რომ რადგან ქიზიყლებმაცა და ნუხის მაზრის სომხებმაც კარგად იციან, რომ ინგილოები 200—300 მანეთამდე ფულს აძლევენ ქალის დედ-მამას, როცა ცოლს ირთავენ, ამისათვის ისინიც ჰყიდდნენ ქალებს ინგილოებზედ უფრო მომეტებულ ფასად, მაგრამ აქედგან ზარალია მეტი სარგებლობა არა გამოდიოდა-რა. დაქვრივებული ინგილო კიდევ უნდა შესდგომოდა ქალის ძებნას ცოლად შესართავად. ამასობაში ხალხის გონებამ გარდასწყვიტა, რომ ცოლად შერთვა ისევ ოლქელის ქალისა სჯობია; მაგრამ, როგორცა ვსთქვი, ქალების რიცხვი ნაკლებია ზაქათალის ოლქში მამაკაცთა რიცხვზედ. აი ამ გაჭირვებამ შეაჯახა მონათლული ინგილოები ერთმანერთს და შეაჩვია ქალების მტაცებლობას. დედ-მამამ რომ დანიშნოს თავისი ქალი ივანეზედ 200 მანეთად, მეორე მუშტარი ეუბნება ქალწულის ქალისა თუ ქვრივის პატრონს: „ივანეს ნუ აძლევ შენს ქალს, მე მომეცი და 300 მან. მოგცემო“. ხარბდება ქალის პატრონიც, იღებს 300 მანეთს (ხანდახან ეს ფული 500 მანეთამდე ადის),ართმევს პირველ საქმროს ივანეს და აძლევს თავისს ქალს მეორე საქმროს პეტრეს და რომ ჩხუბი არ მოუვიდეთ ივანესა და პეტრეს იმისს ქალზედ, არიგებენ დედ-მამანივე ქალს: „ივანეს ნუ მიეთხოვები, პეტრეს გაჰყეო.“ ასრე თვითონვე დედ-მამანი თუ ნათესავები მოაწყობენ ყველაფერს რიგზე და ერთს დღეს ქალიც გავარდება სახლიდგან, მივა ახლად არჩეულ საქმროს სახლში—ეს ახალი ქმარიც გაიტაცებს თავის საცოლეს და ორის-სამის კვირის განმავლობაში იმალება, ვიდრე დაშოშმინდებოდეს პირველი საქმრო და მისი ნათესავები. ამასობაში ქალის დედ-მამაც და სხვანი მისნი ავანჩავანნიც მეცადინეობენ დააჯერონ პოლიცია: „ბიჭს არ მოუტაცნია ქალი, საქმრო არაფერშია დამნაშავე, ყოველიფერი ქალის ბრალია, მშობელთა დაუკითხავად ქალი თავის ნებით გაჰყვა პეტრესაო“. ასე თავს მართლულობენ ქალის დედმამანი ივანესთანაც, რომელზედაც იმათ პირველად დანიშნეს, მაგრამ უმტყუნეს და არ მიათხოვეს. ბევრჯელ ქალწულს ქალს და ქვრივს ძალადაც იტაცებენ, მაგრამ თავს მაინც ასე მართლულობენ. მოტაცებულს ქალს ერთ-სამ კვირას ათრევენ მომტაცებელნი აქა-იქ, გაბიაბრუებენ და იმდენს ეჩიჩინებიან, რომ ათქმევინებენ წინაშე სამართლისა: „რა გინდათ ჩემს საქმროსაგანაო! მე იმას არ მოუტაცნივარ: მე თითონ ის მოვიტაცეო, და აბა რას ემართლებით იმასაო“. ქალები თითონ იმისთვის კისრულობენ დანაშაულს, რომ ინგილოების ჩვეულება ქალების გაყიდვისა და იმათ უნება-ყოფლოდ დედმამისაგან გათხოვება არ მოსწონს განათლებულს საზოგადოებას, კანონიც არ უკრძალავს ქალს, ვინც მოსწონს იმაზედ გათხოვდეს. ამ შემთხვევაში კანონი სჯის ძალადობას, და არა თავისუფლებას. ასე და ამ სახით ქალის თავისუფლებას საქმროს ამორჩევაში ქრისტიანი ინგილოები ბოროტად ხმარობენ. იქამდე საგრძნობელი გახდა ეს არა სანატრელი მოვლენა ქალების მტაცებლობისა საინგილოში, რომ კეთილ-გონიერნი ინგილონი ოხრავენ, კვნესიან და ვიშვიშს იძახიან. მაგრამ რა გამოვა კვნესით, ოხვრით და მწუხარებით, თუ სატკივარს გასაკურნავი მალამო არ დაედება. ამას ექიმი უნდა და ეკკლესიის კანონების წინააღმდეგ მოვლენის ექიმებიც მღვდელნი უნდა იყვნენ, მაგრამ სამწუხაროდ მღვდელნიც ისეთნი არიან, როგორც ანდაზა ამბობს: ,,როგორიც ერი, ისეთი მღვდელიო‘‘. ეხლანდელი საინგილოს სამღვდელოების მოთავე დიდი ლიბერალი ბრძანდება. მისი ლიბერალობა შეიქმნა მიზეზად იმ მოვლენისა, რომ ს. კახში ამ სამი-ოთხის წლის განმავლობაში ძალიან გაძლიერდა მტაცებლობა ქვრივი დედა-კაცებისა და ქალწული ქალებისა. ისეთი წელიწადი არ გავა, რომ რამდენიმე მაგალითი არ მოხდეს ს. კახში მტაცებლობისა, და ისიც, აქა და მღვდელი ვარო, სწერს ყველას ჯვარს დედ-მამის დაუკითხავად და გამოუკითხველად: აქვთ რამე ნათესაობა თუ არა საქმროსა და მოტაცებულ ქალს. ასეთმა მსუბუქად მოპყრობამ და შენდობამ უფრო წააქეზა ხალხი ქალების მტაცებლობაზედ. მომტაცებელს და მოტაცებულ ქალს გაუადვილდათ ჯვარის წერა. მღვდელი თუ ჯვარს დასწერს ქალის მომტაცებელს, პოლიციას რაღა შეუძლიან ამ შემთხვევაში გააკეთოს. იჩივლოს?—აბა რისთვის ჩაიგდოს თავი დავიდარაბაში! აიტკივოს აუტკივარი თავი! მაგრამ პატივად კახის საბოქაულოს უფროსისა უნდა ვსთქვათ, რომ ის ძლიერ მეცადინეობს მოსპოს ქალების მტაცებლობა, მაგრამ მღვდელნი მაინც თავისას არ იშლიან. კახის ბოქაულს სასამართლოდამაც-კი მოსტაცეს ქალი—მოტაცებული, რომელიც გამოსაძიებლად იყო დაბარებული დედმამის საჩივრისა გამო. მაგრამ ვიდრე ჯერი მივიდოდა ამ საქმის გამოძიებისა, ქალი გაიტაცეს, მიიყვანეს კახის ეკკლესიაში და იქ საჩქაროდ ჯვარი გადასწერეს, რომ რა არის პოლიციამ თავი დაანებოს, ქალის მოტაცების გამოძიებას.

დიაღ! დედა-კაცების მოტაცება სოფ. კახში ძალიან გაძლიერებულია. ამის მაგალითები მე შემიძლია მრავალი დავასახელო, მაგრამ ჯერ არას ვიტყვი. მე ვიცი, რომ ამ სტრიქონების დამწერს, სულიერს მამას, უპასუხოდ არ დასტოვებენ და დაიწყებენ თავისს მართლებას, მაშინ მეც ჩამოვუთვლი კრიალოსანზე ფაქტებს. ხოლო ეხლა წავუმატებ ნათქვამს იმ ფაქტს, რომ 2-ს ივლისს მოიტაცეს კახში დანიშნული ქალი და დღესაც არ იციან, სად არიან მომტაცებელი და მოტაცებული, თუმცა პოლიცია ძალიან დაეძებს. მაგრამ დედმამა ძალიან არხეინად არის და ბოდიშს იხდის პირველ საქმროს წინაშე: რა ვქნაო! მე ძალიან მსურდა ქალი შენთვის მომეცა, მე შენი მოყვრობა მსურდა, მაგრამ რა ვქნა! ჩემმა ქალმა შემარცხვინა მეცა და შენცაო‘‘. ამ ხელად მოვიხსენებ იმ ფაქტსაც, რომ სოფ. კახში ქმრებმა კანონიერი ცოლების გაყიდვაც დაიწყეს. ერთმა კახელმა თავისი კანონიერი ცოლი მიჰყიდა 112 მან. ალიბეგლოელს, როგორც ქვრივი, მაგრამ სამი დღის შემდეგ უჩივლა ალიბეგლოელს: ,,ცოლი მომტაცაო‘‘. ამის გამო საწყალს ალიბეგლოელს ფული დაეკარგა და კინაღამ სატუსაღოშიაც წააყოფია თავი.

დ. ჯ.

—

**ს. მეჯვრისხევი**: მეჯვრისხევის ახალგაზდობამ 11 ამ თვეს მომავალ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ წარმოდგენა გამართა. წარმოადგინეს «არსენა», სამ. მოქ. დრამა ა. ყაზიბეგისა და კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ რ. ერისთავისა. ეს დრამა აქ პირველად იყო დადგმული, მაგრამ როგორც კომედიამ, ისე ამანაც კარგად ჩაიარა. თუმცა დრამებს სოფელში გასავალი არა აქვთ, მაგრამ „არსენა“ საყვარელი გმირია ხალხისა და ამისათვის დიდის ყურადღებით მოისმინა იგი ხალხმა და კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზედ. სრული კმაყო-

# ფელეტონი

—

## სისხლი აილო.

მორბის, მოშხუის არაგვი,
თან მოაქვს არე-მარეო,
მთას შეჰყეფს ღვართქაფიანსა:
მითხარ, რად გამამწარეო!
შენ, კოჭდო ლაზათიანო,
ზეცით რო დაგცქერს მთვარეო,
ან გადაგლახავ ერთიან,
ან ამიქციე მხარეო.
ან შენ ვინა ხარ, ვაჟკაცო?
ჩუმად, რომ მომეპარეო,
ჩემი ზვირთების მიმნდობი
მითხარ, ვინ გავახარეო!
—ჰაუ, არაგვო, რას ჯავრობ,
რა ქაფი გადმოჰღვარეო,
თუ ლაჩრად შეგხვდე, ჯაბანსა
სამარე გამითხარეო.
გამიტიალდეს ეს ცხენი,
თუ შენ ვერ გადაგლარეო,
შეიქმნას მგლისა ვახშამი,
ყორანთა გასახარეო,
თუ ორ შებრძოლვით აქედამ
არ ნახა იქით მხარეო.
სთქვა ეს ვაჟკაცმა, გულადად
„მკერდა“ შეაგდო წყალშია,
ცხენი მიიბრძვის, მიცურავს,
ვით ნავი მძვინვარს ზღვაშია.
მხედარი ნაპირს გავიდა,
უკან მოჰხედა არაგვსა
და მერე თვალი მოავლო
წყალ გარდა კლდოვანს ალაგსა.
იქ სალს კლდეს ვიწრო ბილიკი
გზად მიდიოდა ხვეული,
და მუნვე დიდი ლოდები
ეყარა წამოქცეული.
თქმულება არის: ამ ალაგს
უწინა ჰფლობდა გველიო
და შიშით თრთოდა მისგანა
აქ გამვლელ-გამომვლელიო.
დიდი რამ იყო ტიალი,
გაწოლილ იყო კლდეზედა,
ხან კუდზედ შედგის ტრიალით,
ხანაც თბებოდა მზეზედა.
თუ თვალს შეჰკრავდა, ძირს, გზაზე
ღიღინით მავალს მგზავრსაო,
წივილ-სრიალით აქედამ
დაეცემოდა თავსაო....
აი, ამ ალაგს გადმოხტა
მხედარი უშიშარია,
ცხენი კლდეს ამოაფარა,
თოფს შეუცვალა ფალია.
თითონაც იქავ დიდ ლოდზედ
გაწვა გველურად, ფთხილადა
და თვალი გზასა მიაპყრა,
მთლად გადიქცა მზირადა.
ვეჰოპ, ვილაცას მოელის,
სამტროდ თოფ მოღერებული
და იქ იპოვა საფარი
უშიში, მოხერხებული.
იქნება ავაზაკია?
ხელ-აღებული თავზედა
და აქ გზის პირას ჩასაფრდა,
რომ ინადიროს მგზავრზედა!
არა მწყემსია—მეცხვარე,
თემში ვაჟკაცად ცნობილი,
მტრისა მტრულადა მიმგები
და მოყვარესთან ძმობილი.
დღეს უსრულდება დიდი ხნის
მას განზრახვა და წადილი,
ჰსურს გაუმართოს აქ მტერსა
ხმლითა და ხანჯლით ხადილი.
რომ მოუმზადოს სვავ ორბთა
ხვალისთვის კაი სადილი,
რომ გაამართლოს ვაჟკაცმა
თავისი დანაქადილი,
სთქვას: „ქუდი მხურავს შავ-ბიჭას
და არა დიაცთ მანდილი!“..

—

მორბის, მოშხუის არაგვი,
კლდიდამ კლდეზედა თქრიალებს,
გაღმა მთას ებრძვის, გამოღმა
ციბრუტივითა ტრიალებს.
ვარსკვლავნი ლიტონიობენ,
მთვარე მათ შუა ცქრიალებს,
სადღაც ჩინჩხვრებში ირემი
მგლების კლანჭებში ხრიალებს,
„ფსიტი“ სალს კლდეზედ მიფოფხავს,
მის ქვევით წყარო წკრიალებს.
ვიღაც გზად მოდის ღიღინით,
გულ-არხეინი ცხენითა,
ხანდის-ხან მათრახს აიქნევს,
იმღერის ხმითა ნელითა:
„თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ,
კიდევ ვჯობივარ კახსაო,
ფეხს დავცემ, გადავერევი
ბახტრიონ გალავანსაო.“*)
არც მე ვარ ცუდი ვაჟკაცი,
არ გამიწყრება „პირი-მზე,“
არ გავცვლი ამ ჩემს „შაშხანას“
„ყურბანა“ ლეკის „ყირიმზე“.
ზაფხულში მოვიმთიანე,
ვზამთარობ დაბლა ბარშია,
ობოლი გამოვიზარდე,
მწყემსი ვარ თარლვას ცხვარშია“.
მოდის ბილიკზედ მოიმღერს,
ხან გადაჰხედავს უფსკრულსა...
მაგრამ უეცრივ მრისხანე
ხმა შემოესმა მისს ყურსა:
„შესდექ, ბიჭაუ, ქვევითა
გზა არ გაქვს გასავალია,
უკან „შაშხანა“ მოგყვება,
წინ შეგაფერხებს ხმალია!“
— ვინა ხარ, სიდამ დამჩხავი,
ვისი მომესმის ხმანია,
არც მე ვარ სალტად, თანა მყავს
პირში ნაწრთობი ძმანია?!
არც გეგექცევი, სადა ხარ?
დამალვა დიაცთ წესია,
ბერვჯელ მტერს ჩემზედ მოსულსა
ჩემს ხმალს ქვეშ დაუკვნესია“!
— ქადილი, მკვახე სიტყვანი
რა საბრძოლველი ველია,
გადმოხე ცხენსა, ნუ ჰხანობ,
ხანჯალს გაიკარ ხელია.
მეც აქავე ვარ შენ წინა
ჩვეულ არა ვარ თმენასა,
ხანჯალმა უთხრას ხანჯალსა,
რაც უნდა ეთქვა ენახა!..
—ოჰ, ჯმუხავ, შენა? ეხლა-კი
მივხვდი, რად მოხვალ მტრულადა:
ძმა მოგიკალი—სისხლს ძიობ
სისხლის ზღვამ გაგაგულადა,
ის ღირსი იყო სიკვდილის,
შემარცხვენელი თემისა...
—მაგრამ ძმა იყო გელაი,
შვილ იყო დედიჩემისა!
და მიტომ სისხლის აღება
ჩემი წესი და ვალია;
მას აქეთ გული არ მშვიდობს,
ვერც ჩამიხუჭავს თვალია,
სულ მუდამ ყურში ჩამძახის
ხმა: ,,მოჰკალ ძმისა კალია‘‘!...
იმისი ლანდი თანა მდევს
ბარში თუ მთაში, ყველგანა,
რას მეტყვის სული დედმამის,
რას მეტყვის მთელი ქვეყანა?
თუ შეგარჩინო ძმის სისხლი,
ქუდი როგორღა ვატარო,
ჯმუხას მეტყვიან —შავ-ბიჭას,
თავი ვით მოვილაჩარო?!
— ასრულდეს შენი წადილი,
მოხდეს, რაც მოსახდენია,
ერთ-ერთმა ოხრად დავყაროთ,
ხმალ-ხანჯალი და ცხენია!
სთქვა და გადმოხტა ცხენიდამ,
ხანჯალს გაიკრა ხელია
და ელვასავებრ ეკვეთნენ
ორი მოსისხლე მტერია.
ორმა ხანჯალმა ჰაერში
ელვასებრ გაიპრიალა
და სისხლმა ორსავ მკერდიდამ
ძირს ქვებზედ დაითქრიალა.
ხანჯალ მკერდ-მკერდსა გაცმულნი
შემოტრიალდნენ კლდეზედა,
გადაიხარნენ ორივე
ფრიალოს მწვერვალოზედა...
ვერ შედგნენ, ველარც ეტივნენ
ამ კლდოვანს-ვიწრო ალაგსა,
უფსკრულში გადაერივნენ
და შეუერთდნენ არაგვსა...
ორივ მიიღო არაგვმა,
ორივე მთისა შვილია,
ვით საყვარელნი გულისა,
შეკრული, შებოჭილია.
ასრულდა ჯმუხას წადილი,
პირ-ნათელია თემთანა
და პირნათლადვე წარდგება
იმ ქვეყნად ,,პირი-მზესთანა“.

—

მორბის მოშხუის არაგვი,
ხმას აძლევს არე-მარესა,
ქაფს აყრის მთასა-ბუმბერაზს
და ზვირთებს ესვრის მთვარესა.
მორბის, მოიბრძვის არაგვი,
მოაფრთხობს არჩვსა, ჯიხვს, ირემს,
მის ნაპირს ორი უმხედრო
ტაიჭი დარბის, ხვიხვინებს...

ი. ევდოშვილი.

1895 წ.

*) ეს ოთხი სტრიქონი ხალხურია.

ფილება საზოგადოებისა კიდევ იმითი აიხსნება, რომ მოთამაშე ახალგაზდობა ქალი და კაცი გულ მოდგინედ და ენერგიით მოეკიდნენ ამ საქმეს და კვლავინდებურად თვისი ძალ-ღონე, მეცადინეობა არ დაუკლიათ, რათა ესიამოვნებინათ საზოგადოებისათვის... თუმცა წარსულის წლის „ივერიის“ №-ში ბ. კაენრემენ მეჯვრისხევის ახალგაზდობას კარგად არ იხსენებდა, გაიძახოდა: „იგი წარმოდგენებს თავისს კერძო სიამოვნებისათვის მართავს და არა საზოგადო აზრითაო“, მაგრამ ეს აზრი არაფრით არ მართლდება; მიზეზი ამისა ის უნდა იყოს, რომ ამ საქმეში კარგად ჩახედებული არ ყოფილა, თავისის თვალით არ უნახავს ის მეცადინეობა, ენერგია, რომლითაც იღჭურვება ხოლმე მეჯვრისხევის ახალგაზდობა წარმოდგენის გამართვის დროს. რომ ბ-ნ კაენრემენის შეხედულება მართლა ცილის-წამებაა და სხვა არაფერი, ამას ამტკიცებს ის, რომ აგერ მარტო ამ ერთს წელიწადში ოთხი წარმოდგენა გამართა საქველ-მოქმედო აზრით; წარმოდგენა წინა წლებშიაც იმართებოდა. ერთი წარმოდგენა გაიმართა ღარიბ სტუდენტებისათვის, (რომელმაც მაშინვე მიიღო აღებული ფული), ერთი მეჯ—ის სკოლის ღარიბ შეგირდების სასარგებლოდ და ორიც წიგნთ-საცავის სასარგებლოდ, რომელთაგანაც თითქმის 200 მან. შესდგა სულ შემოსავალი. განა სოფლისაგან მეტი მოითხოვება ერთის წლის განმავლობაში?!.. ეს არის კერძო ინტერესისათვის გამართვა?!.. მეჯვრისხევის ახალგაზდობას წარმოდგენების დროს წვალების მეტი არა ხვდება-რა ხოლმე და განა ამისთვისაც მადლობის მაგიერად კიდევაც უნდა ვუსაყვედუროთ?!.. სრული შემოსავალი წარმოდგენიდგან დარჩა 31 მან. წინანდელ წარმოდგენებზედ ნაკლები.

დიდის მადლობის ღირსია ს. მეჯვრისხევის ახალგაზდობა, როგორც ქალები, ისე ვაჟები, რომელნიც სიამოვნებით იღებენ ხოლმე მონაწილეობას წარმოდგენებში და ათას დაბრკოლებას და წვალებას არად აგდებენ და ტვირთულობენ ხოლმე; აგრეთვე—მასწავლებელი თეოფ. კანდელაკი მეუღლითურთ, რომელნიც გულითა და სულით თანაუგრძნობენ და ამხნევებენ ხოლმე მოთამაშეთ და დიდს დახმარებას უწევენ ხოლმე მათ ყოველ წარმოდგენების დროს..

„ივრეთის მთა“ რომელიც მაისში ჩამოიწვა, ისევ იმ მდგომარეობაშია და წინ აღარ წამოუწევია. ტაასკი, რომელსაც „ივრეთის ტბა“ დაერქვა, უმატნია რამოდენიმედ, ასე რომ სიგრძე სრული ერთი ვერსი ექნება, სიგანე-კი ნახევარზედ ნაკლები. მშვენიერი სანახავია „ივრეთის ტბა“ მაშინ, როდესაც ნიავი მოჰქრის და სასიამოვნოდ ღელვას დაიწყებს ხოლმე. ტბის სანახაობა ბევრს ხალხს იზიდავს. ტყის გზა ისევ შეკრულია ტბის წყლით, ასე რომ შეშის ჩამოტანა შეუძლებელია; მხოლოდ თვით საცოდავს ოსებს-კი მშვენიერი ბილიკა გაუკეთებიათ მთის გვერდზე და ცხენებით დაიარებიან. ურმის გზა-კი წრეულობით ვერ ეღირსებათ და წელს ზამთარში დიდს გაჭირვებას და უშეშობას გამოივლიან ქართლელნი. ძალიან კარგი იქნება, თუ მთავრობა ეხლავე შეუდგება გზის გაკეთებას და მით მომავალს გაჭირვებას თავიდგან ააცილებს ხალხს...

ხალხმა თავისს ფანტაზიას ფართო გზა მისცა და ეს მოვლენა (მთის წამოსვლა) ფანტაზიის ძალით თავისებურად ახსნა: მდევებს დიდი ჩხუბი მოუვიდათ და ერთმა მდევმა მეორეს მთა ესროლა თავში და ამისათვის მთა ძირს წამოვიდაო. მეორე: ამ მთაში დიდი საარაყე ქვაბით „ხაზინა იყო და ზედ გველეშაპი აწვა საყარაულოდაო. მთა რომ წამოვიდა, ქვაბიც და გველეშაპიც თან ჩამოჰყვაო; ეხლა მთელი ღამე ეს გველეშაპი განუწყვეტლივ წივის და ამბობს: მომეცალენით, არავინ მომეკაროთ, თორემ ყველას გაგანადგურებთო.. და მასთან თვალებიდგან ცეცხლის ნაპერწკლებს ისვრისო... ერთმა ოსის დედაკაცმა კიდეც დაინახა გველეშაპი და მას შემდეგ შიშით ავათ არისო.“...

ალ. სოლოღაშვილი.

## ზედა აჭარის გათათრება.

(ნაამბობი ს. ნიგაზეულში ყად ნუსი ეფენდი ბერიძის მიერ და სხვათა მაჰმადიანთ ქართველთა, სულეიმან გელაძის გურჯ-ოღლის მიერ).

ქვედა აჭარაში თათრობა უფრო ადრე შემოსულა, ვიდრე ზედა აჭარაში. ახალციხის მხარეში-კი უფრო ადრე მოფენილა მაჰმადის სჯული, ვინემ ზედა აჭარაში, სხალტის ხეობაზედ, ტბეთის ხეობაზედ, შავშეთამდის. ახალციხიდამ თათრობა უფრო არდანუჯისკენ და არტაანისკენ გაუვრცელებიათ, მცირე ხნის შემდეგ შავშეთსა და იმერხევშიაც შემოუტანიათ და ამას აქეთა მხარე აღმოსავლეთის აჭარის ნაწილი-კი დარჩენილა ქრისტიანობაში, ამათ კარგა ხანს შეუნახავთ თავი ქრისტიანობით, მაგრამ ბოლოს საქმე გასჭირვებიათ, რადგანაც ესენი შუაში ყოფილან მომწყვდეული და გარშემო-კი სულ ახლად გათათრებული ქართველები ჰყოლიათ შემორტყმული. ამათი საქმე მაშინ გაჭირვებულა, როცა ქვედა აჭარის ერთი ნაწილიც გათათრებულა და აქედამ ნელ-ნელა ზედა აჭარის ზოგიერთ სოფლებშიაც შეუპარებიათ. ყველაზედ მაგრა ქრისტიანებზედ ს. დანდალოს ხალხი მდგარა, მაგრამ მალე აქაც შეუტანიათ ძალადობია. დანდალოდამ წასულა აღმოსავლით და სხალტის სოფლებს მიახლოვებია, მაგრამ სხალტის გარშემო და ხულის ხეობაში კი ეს ადვილად ვერ შეუტანიათ, აქ ხალხი მეტად გამაგრებულა. აქ ისე გამაგრებულან, რომ ოსმალოს ჯარს გარდა ამათ თვით ახალ გათათრებულის ქართველების წინააღმდეგაც დაუწყიათ ბრძოლა, ამ ბრძოლაში დიდის გმირობით უბრძოლიათ დანდალოს ხალხსა და ხულისას. დანდალოში ოსმალოს ჯარიც ყოფილა, ამათ დაუქცევიათ დანდალოს ეკკლესია. დანდალოს ეკკლესიის დაქცევა ძლიერ სჯავრებია ხულის ხეობის ხალხს და ამიტომ ამათ ოსმალოსთვის არამც თუ მარტო მუსლიმანობის გულისთვის გამოუცხადებიათ წინააღმდეგობა, არამედ თვით იმ ოსმალოს მფლობელობისთვისაც, რომ ჩვენ თქვენი მორჩილება არ გვინდაო.

ოსმალთ, რა უნახავთ საქმის გაჭირვება, ამათ ხულის ხეობისთვის თავი დაუნებებიათ და მიუმართავთ სხალტისა და ტბეთის მხრის სოფლებისთვის; აქ ამათ მოწინააღმდეგენი არავინ აღმოჩენიათ, ორივე ამ მხრის ხალხს ოსმალოსთვის ძლიერ მალე დაუკრავს თავი. ტბეთის ეკკლესია მალე გაუქმებულა, სამღვდელონი აქ აღარ ყოფილან და საეკკლესიო ნივთები. აქ გამაგრებული ოსმალონი სხალტისკენ წასულან, აქ შეუსყიდნიათ სხალტის მოწინავე კაცები და ამათის დახმარებით შესულან ხულაში; ამ მხრის ხალხისთვის დამდგარა დიდი განკითხვის დღე, მაგრამ მაინც ესენი ომს არ შეშინებიან, ამათ დაუწყიათ ომი და ოსმალოს ჯარისთვის ბევრიც უვნიათ, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰმორჩილებულან ოსმალთ. მაშინათვე დაუწყიათ აქ სჯულის გამოცვლის შესახებ ლაპარაკი და უთქვამთ ასე: —თუ სჯულს გამოიცვლით, ხომ კარგი, თუ არა და იცოდეთ, რომ ჩვენ თქვენ აქ აღარ დაგაყენებთ, თქვენს მოწინავე პირებს თავებს დავჰკრით და დანარჩენს ხალხს კიდევ შამასკენ გადაგრეკავთო. ბევრნი მაინც მაგრა მდგარა, ბევრს შეშინებია და ბრძანებას დამორჩილებიან კიდეც. აქაც მოფენილა თათრობა და ამის გაძლიერებისთვის დიდად ცდილან ოსმალონი. ამათ მალე დაუქცევიათ ხულას მშვენიერი დიდი ეკკლესია ნახევრობაზედ და ხალხისთვის აღუკრძალავთ კიდევ, რომ ვინც აქ ილოცებს, იმას ჩვენ თუ შევუტყეთ ეს ამბავი, იცოდნენ, რომ სასტიკად დავსაჯავთო. ხალხს დროებით მიუტოვებია ლოცვები, ოსმალთა დასამშვიდებლად, და საქმე დაწყნარებულა. დღეს ხულის ეკკლესიის საძირკვლებზედ გაკეთებულია ხულის დიდი ჯამე; ეკკლესიის საძირკვლის სიპი ქვები დღევანდლამდე ეტყობა, ეს ამბავი ბევრმა მოხუცებულებმა იციან. ხულიდამ ოსმალნი წასულან აჭარისკენ და საცა რამ ეკკლესიები შეხვედრიათ, სულ უქცევ-უნგრევიათ, ნახევრობაზედ დაუქცევიათ იმ დროს აგარაში გაკეთებული ძველი მშვენიერი ეკკლესია. მთელს მხარეში თათრობა მოფენილა და ოსმალოს მოლა-ხოჯებს ხალხისთვის ლოცვების შესწავლა დაუწყებინებიათ და მალე დარწმუნებულან ქართველთა ნამდვილს თათრობაზედ.

თათრობის დროსაც ესენი თურმე არ სტოვებდნენ ქრისტიანულს წესებს და ყოველს საქრისტიანო დღესასწაულებსაც დღესასწაულობდნენ. მაგალითად აქ აღდგომას ღებავდნენ წითელს კვერცხებს და წაიღებდნენ ხოლმე სხალტის ეკკლესიაზედ და შესწირავდნენ, ხულის ეკკლესიის ნანგრევებთან, აჭარის და სხვათა მხრის ეკკლესიებთან. ეს ჩვეულება ხულის ხეობაში დღევანდლამდე არის დაშთენილი და აქ დედაკაცები დღესაც შეღებენ ხოლმე კვერცხებს და აღდგომა დღეს ზოგიერთ ეკკლესიის ნანგრევებთან მიიტანენ. ქართველთ ქრისტიანულ წესების ამბები მალე იქმნა ოსმალთათვის ცნობილი. ოსმალთა სასულიერო პირნი დიდად აღელდნენ ამაზედ. ამათ მოუწერეს ხონთქარის რისხვა სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის მამას აბდულ ბეგს, რომ მაგ მხარეში ყველა ეკკლესიები უნდა დაიქცეს და ხალხს აეკრძალოს ეკკლესიის ნანგრევებთან სიარული და ლოცვაო. აბდულ-ბეგი ოსმალოს ჯარით დაეცა მთელს ამ მხარის სოფლების ეკკლესიებს და სულ მთლად პირქვე დასცა, დაანგრია. გადარჩა მხოლოდ სხარტა და ტბეთის ტაძარი. ესენი იმ აზრით არ დაუქცევია აბდულ-ბეგს, რადგანაც ამ ეკკლესიის ჯამეთ გადაკეთება სურვებია. ეს ტაძრები მალე ჯამეთაც გადაუკეთებიათ, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ეს ტაძრები ჯამეთ დიდხანს არ დარჩენილან, ხალხს თურმე ცუდი სიზმრები ესიზმრებოდა ამაზე და ამიტომ აქ სალოცავათ არ დადიოდნენ. მალე ჯამეები მოიშალა აქ და დატოვებულ იქმნენ. ამ დროებშიაც აქა-იქ საიდუმლოდ ქრისტიანობდა ხალხი, ერთს და იმავე დროს ესენი თათრულს ლოცვებსაც ასრულებდნენ და ქრისტიანულსაც, ეს ამბები ერთმა ოსმალოდამ მოსულმა ქართველმა ხოჯამ შეამჩნია, ამან დაიწყო ჩუმ ქრისტიანებთან მეგობრობა და თავისს თავს საიდუმლო ქრისტიანათ აღიარებდა, ესეც სიამოვნებით მიიღეს ჩუმ ქრისტიანებმა და ყველა საიდუმლო ქრისტიანები გააცნეს მას, გააცნეს ჩუმი სამღვდელო პირნიც, რომელნიც ერის კაცის ტანთსაცმლით იყვნენ მოსილნი. მოლა კარგად დაუმეგობრდა ამათ, თავს ნამდვილ ქრისტიანათ აჩვენებდა. ასეთის მოტყუებით მოლამ ჩუმ ქრისტიანების შესახებ ძლიერ ბევრი ცნობები შეკრიბა. ამან შენიშნა, რომ ზედა აჭარაში ყველა სოფელში თითქმის საიდუმლოდ ყველა ასრულებს ქრისტიანულს წესებსაო. თუ ვინ იყვნენ აქ ქრისტიანული წესების მფარველნი და მღალადებელნი, ამათი ცნობებიც კარგა სარწმუნოდ შეკრიბა და ბოლოს ეს საიდუმლო ქრისტიანი გაიგა თავისს მოძმე ქართველ ჩუმ ქრისტიანებისაგან და ოსმალოს მთავრობას მისცა ყველა ამათზედ დაბეზღება. ამ ამბავმა დიდად გააკვირვა ოსმალნი, დაბეზღებულს მაშინათვე საჩუქარი მისცეს და ხალხის შესაშინებლათ და ქრისტიანულის წესების მოსასპობათ ამათ შემოიტანეს კაცის თავის მოჭრა, კლდიდგან გადაგდება, დარჩობა, დაკუწვა და ათასი სხვანი, მაგრამ ეს ვერ დაინახეს სასარგებლოთ, რადგანაც ყველა ჩუმი ქრისტიანი რომ მოეკლათ, მაშინ მთელი მხრის ორი ნაწილი ხალხი გაწყდებოდა. ამიტომ ესენი სხვა გზას დაადგნენ.

ზ. ქ.

(შემდეგი იქნება)

## რუსეთის ცხოვრება.

ფინანსთა სამინისტროს სამასწავლო ნაწილის ინსპექტორი ს. ს. გრიგორიევი საზღვარ გარეთ იგზავნება საკომერციო სასწავლებლების დასათვალიერებლად. აგვისტოში იგივე გრიგორიევი ბორდოში დაესწრება სატეხნიკო-პროფესიონალურ-სავაჭრო განათლების შესახებ გასამართ საერთა-შორისო კონგრესს.

—

მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა მაკარიმ, დონის არქიეპისკოპოსად ნამყოფმა, ანდერძად დასტოვა 20,000 მანეთი თავისს სახელობაზე ოთხ სხვა-და-სხვა აკადემიაში სტიპენდიების დასაარსებლად, 12,000 მ. დონის სემინარიასა და ეპარქიალურს სასწავლებელს უანდერძა 10,000 მ. შესწირა ნიჟნი ნოვგოროდის ეპარქიის მონასტერს და 10,000 კიდევ თავისს სოფელ უხანოვს. ყველა დაუბეჭდავი იმისი თხზულება გადაეცა დონის ეპარქიალურს სასწავლებელს, მთლად იმისი წიგნთ საცავი კიდევ დონის სემინარიას.

—

სამარაში, როგორც იუწყებიან იქაური გაზეთები, აზრათა აქვთ დააარსონ პედაგოგიური მუზეუმი მიცვალებულის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III სახელობაზე.

—

ქალების საექიმო ინსტიტუტის ყურის მგდებთა პრაქტიკულად სამეცადინოდ, აზრათა აქვთ გაადიდონ საქალაქო ობუხოვის საავადმყოფო სხვა ახალი შენობებით ვედენის არხის ნაპირის ქუჩაზე, სადაც საკმარისი თავისუფალი მიწა მოიპოვება. ამის გარდა ჰსურთ აწინდელი საფერშლო სასწავლებლის შენობა გადააკეთონ ინსტიტუტის პირველის ორის კურსისათვის ლექციების საკითხავ ოთახებათ. ყველა ეს შენობები დასრულებულ იქმნებიან 1897—98 სამოსწავლო წლის დასაწყისისათვის. ობუხოვის საავადმყოფოს გადიდების გეგმა შედგენილია საგანგებო კომისიისაგან, რომლის თავმჯდომარეთაც საერო განათლების მინისტრი გრაფი ი. დ. დელიანოვი იყო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

გაზ. „ტაიმს“-ის სპეციალური კორესპონდენტი ამ რიგად აგვიწერს სოფიის მცხოვრებთა დღევანდელს მდგომარეობას:

ადელვება თან-და-თან წყნარდება. სტამბულოვის საფლავს პოლიცია ჰყარაულობს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი მტრები ვერ შეურაცხ-ჰყოფენ მისს გვამს. სასამართლო დაწესებულებანი დიდად სცდილობენ, რომ სტამბულოვის მკვლელები აღმოაჩინონ. თვით სტამბულოვის მტრებიც-კი შემაძრწუნებელ მოვლენადა სთვლიან სტამბულოვის მოკვლას. ყველას კარგად ესმის, რომ ამ მკვლელობამ სრულიად დაუკარგა ევროპას ბულგარიისადმი პატივისცემა. პოლიცია ძალიან მცირედ ეხმარება სასამართლოებს მკვლელთა აღმოჩენაში. გეორგიევი, რომელიც სტამბულოვის მკვლელობაში მონაწილედ იქმნა ცნობილი და დააპატიმრეს, ტულჩის მცხოვრებია და არა მაკედონელი, როგორც თითონ ამბობს. სერბიასთან ომის დროს იგი იღებდა მონაწილეობას პანიცის მიერ შემდგარს ყაჩაღთა გუნდში. მერე მონასტრის ვილაიეტში ყაჩაღობდა. შემდეგ იგი ოსმალოთ შეიპყრეს და არაბეთში გადაასახლეს. აქედგან გამოიქცა და საბერძნეთსა, მცირე აზიასა და სხვა მხარეებში დადიოდა. აქ მან ენები შეისწავლა. სოფიაში იგი სცდილობდა მაკედონიაში აჯანყება მოეხდინა. შეპყრობილია გარდა შეიპყრეს ამისა ტიუფექჩიევის მეგობარი პოპოვი. გაჩხრეკის დროს, როგორც ამბობენ, წერილი უპოვნიათ ამისათვის, რომელშიაც ნათქვამია, რომ სტამბულოვი მალე იქმნება მოკლულიო. ათანასე, რომელზედაც ეჭვი აქვთ, რომ სტამბულოვის მკვლელობის მონაწილე უნდა იყოს, ვერ უპოვნიათ. ამ ჟამად სულ ოთხნი არიან დაპატიმრებულნი, იმათ შორის ერთი მეეტლეა, რომელმაც სტამბულოვი წამოიყვანა კლუბიდგან.

—

„ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ის სტამბოლელს კორესპონდენტს რომ დავუჯეროთ, ოსმალეთის მთავრობას იმედი ჰქონია, რომ ინგლისში ახალის კაბინეტის შედგომის შემდეგ სომხეთში რეფორმების შემოღების შესახებ მოთხოვნილებანი უთუოდ მოისპობაო. მაგრამ ეს იმედი არაფრით უმართლდება.

იმ ბაასმა, რომელიც ლორდს სოლს-

ბერის ჰქონია ოსმალეთის ელჩ როსტომ-ფაშასთან ლონდონში, დაარწმუნა სულთანი, რომ პრინციპიალურად დღევანდელ ბრიტანიის კაბინეტის შეხედულებანი სრულიად არაფრით განირჩევიან წინანდელ კაბინეტის შეხედულებათაგან. ამ ბაასს შედეგად ის მოჰყვა, სხვათა შორის, რომ ოსმალეთის მთავრობამ განუცხადა ინგლისისა, რუსეთისა და საფრანგეთის ელჩებს, სომხეთში რეფორმების შემოტანისათვის შაქირ-ფაშაა დანიშნულიო. შაქირ-ფაშის დანიშვნით ოსმალეთის მთავრობამ ვითომ ბევრი რამ დაუთმო უცხო სახელმწიფოებს, რადგანაც მას განზრახვა ჰქონდა აზიის ყველა პროვინციებისათვის მოხელე დაენიშნა „გენერალ-ინსპექტორის“ თანამდებობით; ეხლა-კი საგანგებო გენერალ-გუბერნატორს უნიშნავს სომხეთს.

გაზეთი შეჰნიშნავს, რომ განსაკუთრებული განხვავება წინანდელ გეგმასთან შედარებით ამ დანიშვნით არ არსებობსო. ამავე აზრისაა გაზ. „დაილი ნიუზ“-ი, რომელიც წინააღმდეგია შაქირ-ფაშის გაგზავნისა, რადგანაც იგი დამაარსებელია ქურთთა სამუდამო ცხენოსან ჯარისა (ჰამიდიეს პოლკებისა), რომელიც დიდს მონაწილეობას იღებდა იმ მკეცურს საქციელში, როგორითაც სომხებს მოეპყრნენ.

უფრო იმიტომ სძულთ შაქირ ფაშა ინგლისელებს, რომ იგი დიდხანს იყო ელჩად რუსეთში და დიდის თანაგრძნობითაც ეკიდება მას.

—

აი, რა უთქვამს აბესსინიის მისსიის შესახებ ერთს ინგლისელს „ოსერვატორ რომანო“-ს კორესპონდენტისათვის:

„ეს იმის მეტი არა არის-რა, რომ რუსეთს ჰსურს ინგლისის ყურადღება როგორმე მოაცილოს შორეულ აღმოსავლეთის საქმეების ვითარებას. რუსეთს ჰსურს ინგლისელები შეაშინოს, მაგრამ ამას იგი ვერ ეღირსება. ინგლისელები კარგად არიან გამაგრებულნი ეგვიპტეშიო“.

# უცხოეთი

—

**ბულგარია.** უცხოეთის გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშა სოფიიდგან, რომელიც იუწყება, რომ ერთი სტამბულოვის მკვლელად ცნობილი კიდევ შეუპყრიათ. სოფიის მახლობლად, სოფელ ბოიანთან ჯარის კაცებმა დაიჭირეს კისერში ტყვიით დაჭრილი ყმაწვილი კაცი. შეპყრობილი სულ ოცის წლისა იქნება და ვიდინის სტუდენტი აღმოჩნდა, გვარათ ივანოვი. იგი საშინლად დაუძლურებულიყო შიმშილისა და მომეტებულის სისხლის დაკარგვის გამო. ჰფიქრობენ, ეს ყმაწვილი ის მკვლელი იყოს, რომელსაც სტამბულოვის მსახური გამოეკიდა.

—

ამ დღეებში დეპეშით იუწყებოდნენ, რომ პრინცს ფერდინანდს გაზ. „კლეინე ჟურნალ“-ის კორესპონდენტთან ბაასი ჰქონდაო. ამ ბაასიდგან ახალი არა სჩანს-რა პრინცის შესახებ. პრინცმა დიდი საყვედური განაცხადა ავსტრიისა და გერმანიის ჟურნალ-გაზეთების მხრივ ბრალდებისა გამო და სთქვა, რომ მართლმსაჯულებამ კიდევაც მიაგნო მკვლელთა კვალსაო. „ტრუტ“-ის სიტყვით, ის ხმა, რომ პრინცსა და სტოილოვს შორის უთანხმოება არსებობსო, სრულიად არ არის სიმართლეს მოკლებული. ხსენებულ გაზეთს ატყობინებენ კარლსბადიდგან, რომ პრინცს ჰსურდა სოფიაში დაბრუნებულიყო და აცნობა კიდეც დეპეშით ამის შესახებ სტოილოვს, მაგრამ ამაზედ სამინისტროს საბჭომ ურჩია, რომ იგი კარსლბადში დარჩენილიყო; წინააღმდეგს შემთხვევაში სამინისტრო სამსახურიდგან გადადგებაო. გაზეთები უარს ჰყოფენ, ვითომ ფერდინანდი ტახტზედ უარს ამბობდეს. პირ-იქით იგი ამ ჟამად ძალიან სცდილობს, როგორმე ფეხი მოიმაგროს და თვისი შვილი ბორისი მართლ-მადიდებელს სარწმუნოებას შეუერთოს. დღემდის ეს მისი განზრახვა დიდს წინააღმდეგობას ჰპოვებს მთელს სამშობლოში და წინააღმდეგია აგრეთვე პრინცესაც.

—

**ინგლისი.** გაზეთები ამბობენ, რომ არჩევანებზედ ირლანდიის ჰომრულის მომხრეთ არც ერთი ადგილი არ დაუკარგნიათო. ის ორი-სამი ადგილი, რომელიც ანტიპარნელისტებმა დაკარგეს, პარნელისტებმა დაიკავეს, ხოლო ამ უკანასკნელთ თავისს მხრივ რამდენიმე ადგილი ნაციონალისტებს დაუთმეს, ასე რომ ხსენებულ დასების მდგომარეობა პარლამენტში არაფრით არ შეცვლილა არსებითა დაო. პირ-იქით ირლანდიაში კონსერვატორთ ორი ადგილი დაჰკარგეს—ლონდონდერი-სიტსა და ჩრდილო ტაირონში. პირველი იმათგანი ნაციონალისტმა დაიჭირა, ხოლო მეორე ლიბერალმა.

—

**ბულგარია.** „სტანდარდმა“ საჯარო გამოაცხადა სტამბულოვის წერილი, რომელიც რამდენიმე კვირის წინად მიელო ინგლისურ გაზეთის კორესპონდენტს. სტამბულოვისაგან წერილი საზარელი წინად გრძნობის შიშით ეჭვით არის აღსავსე. „სტოილოვიო, სწერს სტამბულოვი,—საზღვარ-გარეთ წასასვლელს პასპორტს არ მაძლევს. ამის გამო იძულებული ვარ დავრჩე აქ, სადაც ვერც ვიექიმებ და ვერც გარედ გავალ უშიშრად. მაკედონელს ყაჩაღებს ბრძანება აქვთ მიცემული მომკლან უთუოდ, სადაც და როდესაც-კი უნდა მნახონ. წარსულს შაბათს მე და პეტკოვი კლუბში წავედით. პოლიციამ მაშინვე მაკედონლებს შეატყობინა, რომ მე იქ ვიყავი. მოვიდნენ კლუბში და გარს შემოერტყნენ. მაკედონელნი რომ დავინახე, მე ჩემს გარშემო ჩემი მეგობრები შევყარე და იმათთან ერთად დავბრუნდი შინ. ყაჩაღები უკან მოგვდევდნენ, მაგრამ თავს დასხმა ველარ გაჰბედეს, რადგანაც შედარებით ჩვენ უფრო ბევრნი ვიყავით. იმათში შევნიშნე ტიუფექჩიევი, რომელმაც ვოლკოვიჩი მოჰკლა და ერთი კიდევ სხვა, რომელსაც ბელჩევში ხელი დაუქნეს ტყვიით. ამათ გარდა ოთხნი კიდევ სხვანი იყვნენ, მაგრამ სახეზედ ისინი ვერ ვიცანი. ამ რიგად ის ერთად-ერთი ადგილიც, სადაც ჩემის მეგობრების ნახვა შემეძლო, სრულიად დაკეტილი იყო ჩემთვის. თუ რომ სიკვდილი არ მინდა, უთუოდ შინ უნდა ვიჯდე. თუ-რომ ისინი ჩემს მოკვლას მოახერხებენ, მაშინ გამოაცხადეთ, ვინაა ამ ბოროტ-მოქმედებაში დამნაშავე.“

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ერთხელ კიდევაც იყო შენიშნული გაზეთ „კვალის“ ნომერში, რომ ქუთაისის ქალაქის ბიბლიოთეკა კვირა დღეობით მარტო სამის საათით არის გაღებულიო. ახლა ჩვენის ქალაქის გამგეობას ეს კიდევ მეტად დაუნახავს და სრულიად მოუსპია კვირა-უქმე დღეებში ბიბლიოთეკის გაღება, მაშინ, როდესაც კვირა-უქმე დღეებში უფრო მეტ ხანს იყო საჭირო მისი გაღება, რადგანაც მხოლოდ მაშინ არიან თავისუფალნი, როგორც ვაჭარ-ნოქრები, აგრეთვე ქალაქის სხვა-და-სხვა დაწესებულების მოსამსახურენი. საკვირველია, რატომ ქუთაისის ქალაქის ხმოსნები ამ გარემოებას ჯეროვანს ყურადღებას არ მიაქცევენ.

ვთხოვ გაზ. «ნოვ. ობოზ.»-ს რედაქციას გადაბეჭდოს ეს შენიშვნა თავისის გაზეთის მახლობელს ნომერში.

ივანე გვრიტიშვილი.

ქუთაისი.
9 ივლისი, 95 წ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 ივლისი.

**შეცდომის გასწორება.** იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული კრონშტადტამდის გააცილეს ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფა იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. ხოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

იხმარეთ მხოლოდ

საპონი „ვაზელინი“—იაფი, კარგი, პრაქტიკული და მარგებელია.

ჭივიენის „ამხანაგობისა“ ს.-პეტერბურგში.

ს.-პეტერბურგი, ალექსანდრ. მოედ., 9., მოსკოვი, ვარშავა.

ისყიდება ყველგან.

(9—7—2).

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

(წელი მეთოთხმეტე).

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1895—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორიც და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1596—)7.

უმაღლესად დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

## დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 5) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემთსადგურებზედ.

50—6—41


Дозволено цензурою, Тифлисъ 21-го Іюля 1895 г. სტამბა შარაძის და ამხანაგ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.